



№ 4

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრამა საზ. კანტორაში და იხსებ იმედუშვილთან (ს. სორობანი-ს სტამბაში). მისამართი: თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ Ioc. იმედაშვილი.  
ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება — ხელთნაწერები საკრიტიკოსისამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 4

კვირა, 30 მარტი

1914 წ.

### 30 მარტი.

**სათეატრო მუზეუმი.** „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“ — ეს ბრძნული სიტყვები ყველა ჩვენ-

თაგანს უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნია, მაგრამ მისი შინაარსის თანახმად-კი არ ირჯება...

და მართლაც, აბა დააკვირდით ჩვენს საზოგადოებრივ, სამწერლო გინდ სათეატრო საქმიანობას, თუ განსახლვრული გეგმა, თანშეზომილება, თანდათანობა ეტყობოდეს. ხშირად ერთსა და იმავეზე გბჭობთ, უკვე თქმულის და ნააზრ-ნაფიქრის ირგვლივ ერთს ადგოლზე გბრუნავთ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ გვინდა გავითვალისწინოთ ჩვენის წინაპართა, წინა თაბაბათა საქმიანობა — ნაღვაწი...

ჩვენ არ ვიცით რა როგორ ვისგან ვაკეთდა გუშინ, რომ მის განსაგრძობად ვიმოქმედოთ დღეს, და ჩვენს მოქმედებას ხვალისათვის უფრო საზრიანი მსვლელობა მივსცეთ... განვლილის უცოდინარნი ყოველივეს, უკვე ნაცად-ნაკეთებს, „ახლად“ ვიწყებთ, „ახლად“ ჩვენით გვინდა შეექმნათ ისტორია...

ამ ყაბად ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა მხარეთ გვერდს ავუხვევთ და მხოლოდ ჩვენს სათეატრო მუზეუმის შესახებ მოვილაპარაკებთ...

„სათეატრო მუზეუმიო!“ — იქნება გაკვირვებით შემოგვცახბოს მკითხველმა: სად არის ეგ მუზეუმიო?!

მართალია, დღეს ეს მუზეუმი არა გვაქვს, მაგრამ უნდა გვექმნეს, უნდა შეექმნათ...

სხვა, დაწინაურებულ ერთა შორის, უცხოეთში არა თუ საზოგადოებრივ დაწესებულების, არამედ ყოველ შესანიშნავ პირის

ყოველ კუთვნილ ნივთს, ხელნაწერთ, სურათებს თუ სხ., აგროვებენ, ვითარცა წმიდათა წმიდას უფროთხილდებიან, რომ შთაბამებლობას არ დაუკარგონ და მით გააცნონ მამა-პაპათა ნამოქმედარს აწმყო-მომავალისათვის აღსაფრთოვანებლად და ჩვენ-კი არა თუ რომელიმე ჩვენი მწერალ-მოღვაწის კუთვნილ ნივთებს ვაგროვებთ და ვფასებთ, არამედ ჩვენი დიადი კულტურული ტაძრის — თეატრისა თუ მის ქუროუმ-მხოვრავთა — კუთვნილ საბუთებისა და ნივთების შეკრებაზე არ-კი ვზრუნავთ...

უწყალაო დრო-კი ყოველივეს ჰნთქავს... მეთვამეტე საუკუნის მიწურულს რო თავი დავენებოთ, როდესაც პირველად (1793 წ.) ქართული წარმოდგენა გიმართა ქართული მეფის სასახლეში, თანამედროვე ქართულს თეატრს 1851 წ. მიეცა დასაბამი, ხოლო 1879 წ. მკვიდრი საძრკველიც ჩაეყარა...

ამ ხნის განმავლობაში ჩვენი სამშობლო სცენის ირგვლივ ბევრი თავგამოდებული, მამულის სიყვარულით გატაცებული, იდეური მუშაკი იღვწოდა. გარდიცვალნენ იგინი და მათს ნამოქმედარის საბუთებსაც თითქოს მტერი ვადეფარა. მათს ნამოქმედარ-ნააზრს-კი შეუძლია დღესაც გზა გაეცინათოს, შეცდომებს აგვაცდნოს, გავითვალისწინოს ჩვენის თეატრისა და მის მუშაკთა ყოფა-ცხოვრება...

გასულ კვირის ნომერში (№ 3) ჩვენ დავებეტლეთ 1865 წ. დაბა ხონში გამართულ წარმოდგენის პროგრამა. ეს პროგრამა ჩვენ წერ კიდევ ამ ოთხი წლის წინად ვადმოგვცა ჩვენმა მსახიობ-დრამატურგმა ვ. შალიკაშვილმა და ბედნიერ შემთხვევას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ სამუდამოდ არ დაეკარგა ჩვენის თეატრის ისტორიკოსი.



ეს პროგრამა ხელთ რომ არ გვექონოდა, ვინ დაამტკიცებდა, რომ ამ ნახევარი საუკუნის წინადა დაბა ხონში წარმოდგენილ იქმნა „გაყრა“ სტუდენტთა სასარგებლოდ და ისიც მხოლოდ ერთის გვარის (თავ. წულუკიძეთა) წევრებისაგან. ეს მოვლენა ბევრს რასმეს გვაგულისხმებს, მაგრამ ამ ყაზმდ ჩვენ კრიტიკოს-ისტორიკოსის მოვალეობას არ ვკისრულობთ, არამედ ჩვენს დრამატ. საზოგადოებას მოვავგონებთ, რომ იგი თვისის გამგეობით მხოლოდ ანტრეპრენიორის მოვალეობას არ უნდა ეპარობდეს... აუცილ კ უად საჭიროა ითავოს ქართული თეატრის მუხეუმის და ჩსება, სადაც უნდა შეიკრიბოს ყოველივე ის, რაც ქართულ თეატრსა და მის მოშაეთ შეეხება...

# ჩვენი მხარეობა და მოთხოვნანი

ნიკო რეულლო და მისი თარგმანი ქართველი პოეტების. ამას წინადა „სახ. ვაზეთ“-ში დაბეჭდილი იყო დრამატურგის შიუკაშვილის წერილი, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნული იყო ჩვენი მწერლობის უნუგეშო მდგომარეობა. სხვაგან შედარებით პატარა ნიჭის სახელი სამშობლოს გარედაც საკმაოდ ვრცელდება, რასაც შედეგად მოსდევს მწერლის ქონებრივი უზრუნველყოფა. ჩვენში-ი, რაც უნდა დიდი და ძლიერი ნიჭი აღმოჩნდეს, საქართველოს გარედაც სრულეობით უცნობია.

ამ საქმეს არც ისე დიდი თანხა დასჭირდება, საჭიროა მხოლოდ დრამ. სახ. გამგეობამ ცალკე ოთახი მოაწყოს, შკაფი დადგას და ყოველივე გამოგზავნილი ნივთი (სურათები, პროგრამები, აფიშები, ხელთნაწერები, ხელმონაწერები, ალბომები, იუბილიართადმი მიძღვნილი აღრესები და სხ.) მუნ შეინახოს დანომრილი.

რამდენი საექვეო ღირსების ნაწარმოები ითარგმნება სხვადასხვა უცხო ენიდან რუსულად, ქართველ მწერლებს-კი რუსის საზოგადოება სრულეობით არ იცნობს.

ჩვენ ჩვენის მხრით ვსთხოვთ სამშობლო სცენის გულშემატკივართ, ვისაც-კი მოეპოვება ძველისძველი სურათები (მსახიობ-დრამატურგთა, სასცენო მოღვაწეთა ჯგუფები) ანუ მიწე მოწერა, ხელთნაწერები, დაბეჭდილი აფიშა-პროგრამები, გამოგვიგზავნონ. შესაფერ მასილას ყურნალში დაბეჭედეთ და დედნებს დრამ. სახ. გამგეობას გადაეცემა...

ერთის მხრით ამითიც აიხსნება, რომ რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილსაც-კი არავითარი წარმოდგენა არ აქვს საქართველოზე, იმის კულტურაზე, წარსულსა და აწმყოზე. დავანებთ თავი რუსეთს: ჩვენი მეზობლები არიან სომხები და თათრები; ჩვენ მათს თანამედროვე მწერლობას არ ვიცნობთ, ისინი ჩვენსას!

დარწმუნებული ვართ, რომ ვისაც უყვარს ჩვენი ეროვნული და საზოგადოებრივი აღმზრდელი დაწესებულება და მის მსახურთ პატივს სცემს, ჩვენს მოწოდებას ხალისით შეეგებება...

ამი ზამ ყოველ ნაბიჯს, ამ ნაკლის შესავსებადაც წინ წადგმულს, სიხარულით უნდა მივეგებოთ.

## ან დ ე რ კ ი

როს დაობლებულს მთელი სამყარო მოგჩვენება შავ-ბნელ სამარედა, შენც ყვაილეობით მოხვალ საფლაეთან და სხვეთან ერთად იტირებ მწარედა...

ამ ცოტა ხანში გამოვიდა რუსულ ენაზე ნიკო რეულლოს ქართველ პოეტების თარგმანი. თარგმანში მოთავსებულია ლირიკა ჩვენი საუკეთესო ძველი და ახალი პოეტებისა.

იტირებ, მაგრამ მოუსვენარი თუ დაიპროლებს იქ მძაფრი ქარი, ცრემლი შეიშრე, ამას გთხოვ მარტო, და ბრძოლის ხმაზე აქედრე ქნარი!..

რომ მკითხოთ: რა უფრო ძნელია, კარგი ლექსის დაწერა, თუ მისი კარგად გადათარგმნაო, პასუხის მოცემა გამოიჭირდება. ერთსა და მეორე მხარეზე სიძნელე სხვადასხვა გვარია და ამიტომ შედარებაც შეუძლებელია. ორიგინალური ლექსის მთხვევლი თავისუფალია თავის შემოქმედებაში. ის ჰქმნის ისე, როგორც საკუთარი აღმადრენა უკარანახებს.

სულ სხვაგვარია მთარგმნელის მდგომარეობა: ის წინდაწინვე შებოაკილია, შეზღუდულია ორიგინალის ჩარჩოებით, და ამიტომ იმის აღმადრენას გაქანება, ფრთების თავისუფლად გაშლა არ შეუძლია.

ყოველ ლექსს აქვს თვისი საკუთარი მუხი, რომელიც თვითონ სიტყვებშია შედუღებული. შინაარსის გადაღება დახელოვნებული მთარგმნელისათვის შედარებით ადვილი საქმეა, მაგრამ აი ამ მუსიკის გადატანა ერთი ენიდან მეორეზე მეტად ძნელი და ხშირად შეუძლებელიც. მთარგმნელი თითონ უნდა იყოს ზეგარდმო ნიჭით ცნებული, რომ შეუძლებელი შესძლოს.

ნიკო რეულო, რომელსაც უკისრია ქართველი პოეტების რუსულად გადათარგმნა, ბუნებას საკმაოდ დაუჯილდოვებია პოეტურის ნიჭით. ამას ჰმოწმობენ მისი ორიგინალური ლექსები რუსულ ენაზე, 1910 წ. გამოცემული.

რა დიდი პოეტიც უნდა აიღოთ, ყველა მისი ნაწარმოები ერთნაირის ღირსებისა არ იქნება. გამოჩენილ პოეტებსაც აქვთ ისეთი ლექსები, რომელთა უკეთესი უბრალო მოღეჭესაც-კი მოეთხოვება.

იგივე უნდა ითქვას მთარგმნელზედაც. რაც უნდა დახელოვნებული იყოს მთარგმნელი, შეუძლებელია, მისი თარგმანი ერთნაირის ღირსებისა იყოს: ზოგი უკეთესი იქნება, ზოგი უარესი.

პოეტური თარგმნა ერთგვარი შემოქმედებაა: რაც უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენს მთარგმნელზე, რაც უფრო ალაფროთავნებს მას და აღძრავს მისი გულის სიმებს, მისი

თარგმანიც უკეთესი გამოვა, რასაკვირველია.

ამიტომ ბ. რეულომ თარგმანიც უნაკლებო არ არის. ზოგიერთი თარგმანი დედანთან დაშორებულია, ზოგი სისწორით არ გამოგვემს დედანის აზრს, ზოგი თარგმანი პოეზიის მხრივ სუსტია, ხოლო საერთოდ მთელი წიგნი კერძოდ ჩემზე კარგ შთაბეჭდილებას ტრევებს. მაგ. ევლოვილის ზოგიერთი ლექსი ისე საუცხოვოდ არის გადათარგმნილი, რომ ორიგინალს არ ჩამოუვარდება. თარგმანის ერთ დიდ ღირსებას ის შეადგენს, რომ რამდენადაც კი შესაძლებელია, დაკუთვნილი ორიგინალის რიჟმი, ლექსთა წყობა.

საერთოდ ბ. რეულო დიდი მადლობის, თანაგრძნობისა და მასთან წახალისების ღირსია.

თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი თანამედროვე პოეზია ისეთ საუნჯეს წარმოადგენს, რომ ჩვენი უფრო ბედნიერ ერს შეუძლია მითი თავი მოიწონოს. ეს პოეზია ნაყოფია ღრმა კულტურისა და ქართველი ერის ძლიერი სულისა.

რაც უფრო უკედ გავცივობენ ამ მხრივ ჩვენი მეზობლები, მით უმჯობესია ჩვენი ცხოვრებისა და მწერლობისათვის.

ამიტომ ყოველ ამგვარ საქმეს, რომელსაც ბ. რეულო შესდგამია, სიამოვნებით უნდა მივხედოთ და ვუსურვოთ გამარჯვება.

მ. ჯანაშია




## პ ი ს პ ი ს ი

მოცეკვავ, მომიხარინ კისკისი, ხალისიანი!  
თან მომტირინ თვალ-ლურჯა აცრემლებულნი იანი!  
მინდა გაღმოგცეთ სალამი ამწყინებული მთებისა,  
საფრთხანაყარდო ზღაპრები უმწიკვლო ყვავილებისა!  
წალკატის კალთა-უბეში მოვიმღეროდი, ვხარობდი!  
უმანკო გრძობა-ალერსით ტყის დობილ ქალებს ვყვარობდი!  
რა შეედრება ნისლებში ჯიხ-ირმებს საქართველოსას,  
სისხლით და ცრემლით დაბასმულ გულ-საკინძს ტურფა მდელისას!  
მოვხტივარ, მოვითამაშებ ლალი და კისკას ხეიანი!  
იხარე, ჩემო ქვეყანავ! არ გნახო გაშლილ თიანი!..

ქ. ჯანაშია





ვლ. აღ. ანდრეასიშვილი

პროვინციაში წარმოდგენების  
გასამართლად გამგზავრების  
გამო.

# შეპოჭილი არტისტი

ეს არც მთლად სიმბოლოა.  
ვინც თვალყურს ადევნებს რუსეთის  
თეატრალურ ცხოვრებას, უთუოდ შენიშნავდა,  
რომ ეს დებულება უკვე მრავალთაგან აღვი-  
არებულია.

ამბობენ, რომ დღევანდელი ქურუმი სცე-  
ნისა შეპოჭილია რეჟისორისა, დეკორატორ-  
მხატვარისა, საზოგადოდ ტენიკური მორთუ-  
ლობისა და მუსიკოსთა მიერაც-კი, ეს ერთის  
მხრით, მეორეთი-კი — მისი ბატონ-პატრონ ან-  
ტრეპრენიორის მიერ.

დღევანდელ რთულ და საარაკოდ რეალურ  
ან მომხიბლავად ფანტასტიურ სცენის მოწყო-  
ბილებაში მსახიობი თითქო იჩრდილება, თით-  
ქო მისი შემოქმედება მხოლოდ ხელს უწყობს  
მაყურებლის წინ გადაშლილ სანახაობას, თით-  
ქო მსახიობიც ამ მოწაფეაბას ერთ ერთი ნა-  
წილაკია და არა ეს მორთულობა მისი სამოსე-  
ლი და გვირგვინი. დეკორატორ-მხატვარი გა-  
მოდის წინ, ნიჭიერი ბუტაფორი და აგერ,  
ვთქვათ, რეალურად მოღერებულ ატმის ყვავილ-  
ში რეჟისორსა ხედავთ მომღიმარეს. მსახიობი-  
კი ამავე ატმის ხის ძირში მიკრუნჩხულა. მჟუ-  
რბუჯაა, მაყურებელი მინდაო, თითქო გაიძა-  
ხის დღევანდელი თეატრი და არა მისწელოდ!  
ამას კიდევ მიუმატეთ რეჟისორის მიერ შექმ-  
ნილი ფსიხოლოგიური ჩარჩო: — მე ასეთი სახე  
მინდა თქვენგან შეიქმნასო! — ეუბნება იგი მსა-

ხიობს და მსახიობის ინდივიდუალობას, მის  
მხატვრულ „მეს“ უკან აყენებს.

— ყველა ამ სტანისლავსკებმა მსახიობი  
დაგვიკარგესო! — მოსთქვამს ერთი ჯგუფი მწერ-  
ლებისა.

მაშასადამე საქმე არც ისე სახუმრო ყო-  
ფილა. ამ ბოლო ხანებში მაინც თანდათან  
უფრო მძლავრად გაისმის ხმა მსახიობთა გამო-  
სარჩლებისა. და არ შეიძლება, საქმეს თუ ჩაუ-  
კვირდით, არ იგრძნოთ, რომ ამ განგავს თა-  
ვის საფუძვლად ერთგვარი სიმართლე უძევს.

რაც შეეხება მსახიობის ანტრეპრენიორ-  
თან დამოკიდებულებას, ეს ხომ მართლაც ყოფ-  
ლად შეუწყნარებლად არის დღესაც მოგვარე-  
ბული და აი დღეს მოსკოვში თავმოყრილნი  
არიან მსახიობთა დელეგატები-წარმომადგენელ-  
ნი, რომ ხელახლა გადასინჯონ ეგრედ წოდებ-  
ული „ნორმალური“ ხელშეკრულება და ეხლა  
მაინც გაასაშვლონ საქმის ხელმძღვანელისა  
და მუშაკ-მსახიობის დამოკიდებულებანი. სხვა  
ათას წერილმან და მსხვილმან მხარეს ამ ჟამად  
რომ კიდევაც დავეთხოვოთ, მარტო „გრაციულ-  
ი“ დღეები ანტრეპრენიორის სასარგებლოდ  
ხელშეკრულობაში სავალდებულოდ დადგენი-  
ლი, თავსაიტერევე საგნად გამხდარა. როგორც  
ვიცით; ეს «გრაციული» დღეები ნიშნავს ანტ-  
რეპრენიორის უფლებას, რომ ჯამაგირის მო-  
ცემა მსახიობს ვადაზე გადაუტოლოს. ეს ვითომ  
შედავათია ანტრეპრენიორისათვის: შეიძლება  
ვადაზე არა აქვს ფული, მაგრამ 5 ან 10 დღე-  
ში იზოვნოს, მოავგაროსო. მაგრამ წარმოიდ-  
გინეთ მსახიობის მდგომარეობაც, რომელმაც,  
როგორც ყოველმა მოჯამაგირემ, თავის ჯამა-  
გირს შეუთვარდა ცხოვრება, ჯამაგირი-კი ვადა-  
ზე ვერ მიიღო. რა უნდა ქმნას მსახიობმა? —  
ვალთ ვალს უნდა დაადვას და გაჯახირებთ  
უცადოს «გრაციულა» დღეთა დასრულებას.  
ბევრს თათბირობენ ამ ჟამად ამის შესახებ და  
სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ «გრა-  
ციულს» დღეთა მოწინააღმდეგენი, რომ ის  
ანტრეპრენიონა ვერაფერი საიმედოა, რომელიც  
თავის იმედებს მხოლოდ კასაზე ამყარებს და  
«გრაციებს» ანგარიშს უწევსო. ის, რაც «გრა-  
ციების» დღეებში შესაძლებელია, აღრვევც  
შეიძლება გასაშვალდესო.

ასე და ამ გვარად მუშაკ-მსახიობს ორი

მხრიდან ხელ-ფეხი ებოჭვის და გასაქანი არა აქვს.

იღუბლი მხრით ჩრდილავენ, კომერციულად სჩაგრავენ.

ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, უფრო ძნელი დასაძლევია, მაგრამ არც ეგ არის უსაშველო და პირველი-კი...

მაგრამ, ჩემის ფიქრით, აი რაშია საქმე: —უკიდურესობაში.

უკიდურესად საინდივიდუალო იყო წინანდელი თეატრი, ასპარეზი მხოლოდ თითო ოროლათა და სხვებ „სავამუშაო“ საქმე, მოუწყობელი, მოურთველი, უნსამბლო და სხვ. მაგრამ იმ ზოგიერთთა მხატვრული „მე“ მიანიჭ თავისუფალი იყო და მსახიობის შემოქმედება არ იყო მომწყვედელი დღევანდელ ფარგლებში.

დღეს კი, როგორც ზემოდაც მოვიხსენიე, მეორე უკიდურესობა დამყარდა.

რაღა თქმა უნდა, უკიდურესობა, ხელოვნების საქმეში მიანიჭ, დიდაც დასავლობა და ჩემის ფიქრით, თეატრი სწორედ მაშინ იქმნება ღირსეულს სიპაღლებზე, როდესაც მთელი მისი შემადგენლოა თანაბრად შეუწყობს ხელს მის წარმატებას. კერძოდ არც ერთმა შემადგენელმა არ უნდა იკისროს პირველობა, წინ გამოწყვეა, თორემ მუდამ ისეთ უკმაყოფილებას გამოიწვევს, როგორსაც იწვევდა ძველი და ესაა ახალი თეატრი. ეს უბრალოთაც აიხსნება: აღმნიანი თავი, გული, ხელები ყველანი უკეთურ რიგზე ასრულებენ თავის დანიშნულებას, აღმნიანიც ჯანსაღია, საგრამ თუ გადაუხევის მოვალეობის ასრულებას და გულმა, მაღალად, თავობა მოინება და სპულდრიდან ამოხტა, უთუოდ დიდი აურზაური მოხდება. არც თავმა უნდა გადაუხვიოს თავის დანიშნულებას, მიუხედავად იმისა, რომ ის თავია და ყველა სხვა ნაწილს განაგებს. ეგრეა აქაც. რეჟისორიც, მსახიობიც, მხატვარ-დეკორატორიც და სხვა ესეთი ნაწილები არიან და მათ მხოლოდ მთელი სხეულის — თეატრის — სამსახური ჰმართებთ და უწინარეს ყოვლისა „დღევანდელ გმირს“ რეჟისორს არა მართებს უთუოდ პირველობა თვითონ დაიჩემოს, თუმცა ყოველივეს იგი განაგებს და თავობს.

აქ მოყვანილი საკითხები ჩვენი ქართული სცენის მუშაკთათვისაც ფრიად ანგარიშგასაწე-

ვია, რადგან ჩვენი რეჟისურაც ახლა ფესვს ირდამს და ჩვენი ანტრეპრიზაც ახლა ყალიბდება. მასადავთა მომავალ ყრილობაზე ეს „შებოჭვა არტისტისა“ თვალწინ უნდა გვედგეს და უნდა გვეცადნეთ, რომ უსამართლობა ჩვენც არ ჩავიდინოთ.

*მ. ჯანაშია*

„დიდებული ქართველი მოცეკვავე“  
(„La grande danseuse georgienne“)

ჩვენმა თანამემამულემ, ელენე ჩერქეზი-შვილმა ამ მოკლე დროში მოიხვეჭა დიდი ხელი, როგორც განსაკუთრებით ნიჭიერმა მოცეკვავემ. პარიზის თითქმის ყველა გაზეთი იმის ქებაშია.

აი რასა სწერს Comodia Illustré (№ 10): „დაბადებული საქართველოში, ელი ჩე-როვი (ჩერქეზი-შვილი) პირველი ქართველი ქალია, რომელმაც სძლია ცრუ-შეხედულება თავის ქვეყნისა და გამოვიდა საცეკვაოდ სცენაზე. ცნობილი მოცეკვავის მარშების მწვაფემ, ელი ჩეროვმა, პირველად უფრო სხელი გაუ-თქვა თავის მასწავლებელს, რომელთან ერთად მან შემოიარა ერთი ნაწილი რუსეთისა და ყველგან აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ცოტა ხანი დაჰყო მან ანვერში, სადაც ცე-



ელენე ჩერქეზი-შვილი  
ცეკვის დროს.

გვერდები

კვავდა პოლ ჟორჯის თეატრში. შემდეგ ეს ნარნარი ბალეტინა მიიწვია. ბ. პოლ ფრანკმა „თეატრ-იმპერიალიზი“, სადაც ყოველ საღამოს პარიზის რჩეული საზოგადოება აღტაცებაში მოდის ხოლმე მისი თამაშით.

„ქანი ელი ჩეროვი ნამდვილი არტისტი ბუნებით, გატაცებულია ხელოვნებით, რომელიც მას ნებას აძლევს გამოაშკარავოს უცხო მშვენიერება კავასილ ქალებისა; მას აქვს განძრახვა ცეკვით და მოძრაობით დაასურათოს ლექსებით და გადმოცემანი ძველი კოლონიდისა. მისი ცეკვა, თავისებურ არტისტიულ ხასიათისა, შემოქმედებაა ნამდვილ ნიჭიერებისა და სიმპატიურ არტისტ-ქალს მოელის საზოგადო ენტუზიაზში...“

„Le Monde Illustré“ სწერს:  
 „ყოველი მხატვარი, ყოველი მოქანდაკე, ყოველი ნამდვილი არტისტი უსათუოდ წავა ჰნახოს და ტაში დაუკრას ღიღებულ მოცეკვავე ქალს—ელი ჩეროვს—ყველა, ვისაც-კი უყვარს მიმიკა და საპლასტიკო ხელოვნება“.



**ელენე ჩერკოვიშვილი**  
 ცეკვის დროს.

ჯურნალი „La Griffe“ სწერს:  
 „ელი ჩეროვი (ჩერკევიშვილი) თავის გასაოცარი ცეკვით იპყრობს თვალს და ჰიბნოლავს გრძობას. ელი ჩეროვი ბუნებით უხვად დაჯილდოვებულია, იგი შორს წავა: იგი ნამდვილი არტისტია“.

პარიზში სახელის მოხვეჭა ძალიან მძიმეა და თუ ელენე ჩერკევიშვილმა იქაც გზა გაიკაფა, ამის მიზეზი მართო ცეკვა-კი არ არის: ამისთვის საჭიროა კიდევ შემოქმედების თავისებური ნიჭი. სწორედ ეს ნიჭი გამოიჩინა ელენე ჩერკევიშვილმა და ამით მიიქცია ყურადღება არტისტების და საზოგადოებისა. აი რაში იხატება ეს ნიჭი: ჩერკევიშვილი იღებს უბრალო ხალხურ სიმღერას, ზღაპარს, გადმოცემას და ცეკვით ასურათებს და აფერადებს მათს შინაარსს. სწორედ ამ დასურათებაში იხატება მისი შემოქმედებითი ნიჭი. პარიზის საზოგადოება ძლიერ განვითარებულია და უბრალო ცეკვით, თუნდაც რომ ძალიან ხელოვნურად იყოს იგი ასრულებული, იმას ვერ გაიტაცებ. მაგრამ იგივე საზოგადოება ღიღის ყურადღებით ექცევა, როცა შეამჩნევს ფსიქოლოგიურ სურათს სხვადასხვა ცხოვრებისას, სხვადასხვა ერისას.

ელენე ჩერკევიშვილმა შესძლო, გამოეხატა სწორედ ეს სურათები ჩვენი ცხოვრებიდან, სულის მოძრაობა ჩვენი ერისა. ქართულ „ნანას“, „აიდა გოგონას“, ქართულ ჭიდაობას და ამისთანა სხვას, ცეკვით გადმოცემულს და განსახიერებულს, ღიღს აღტაცებაში მოჰყავს თურმე საზოგადოება პარიზში.

ჩვენც გულწრფელად ვუსურვებთ სრულს გამარჯვებას ჩვენს ნიჭიერს თანამემამულეს\*).

**გ. გვაზავა**

\*) ელენე ჩერკევიშვილი, რომელმაც თავისებურის ხელოვნურის ცეკვა-თამაშით ევროპაში თავი იხატა, გარე-კახელია, დაიბადა სოფ. თოხლიაურში (თბილისის მაზ., საბოტოქალ. ნაწ.) დაახლოებით 1888 წ., მამა მისი იყო ნიკოლოზ ჩერკევიშვილი. ადრე დაობდა. საშუალო განათლების კურსი შეისრულა თბილისის დედათა ინსტიტუტში 1906 თუ 1907 წ. სწორედ ამ ხანებში ჰნა-სწავლის დროს ხა თბილისში საცეკვაოდ ჩამოსული გამოჩენილი მოცეკვავე ასიელორე ღუნკანი და მისით მოზიზღულმა გადასწყვიტა საცეკვაო ხელოვნების შესწავლა. სცენაზე გამოვიდა სწავლის დროსვე პირველად პეტერბურგისა და მოსკოვის სცენებზე, შემდეგ ბელგიას წავიდა და ანერში ღიღად გაითქვა სახელი, შემდეგ პარიზში მიიწვიეს და ამ ეპოქად თამაშობს პარიზის „თეატრ-იმპერიალიზი“.



**ე. ჩერკ-შვილი**

რედ.



*ქ. მისია*

ქეთ. დრამ. სახ-ის გამგეობის პირველი თავმჯდომარე და პიესა „ბრმის“ ავტორი.

## ქ ე გ ლ ი

I

— ჩქარა, თქვენი ქირიმე, ჩქარა!—ვედრებთ მიმართა მუშებს ახალგაზდა ქაღმა და სასაფლაოს მუშებზე ნელად დაეშო.

მთვარე ამაყად ამოცურდა ღრუბლებ-შუა, განმარტოებულ საყდრის გუმბათს გაუსწორდა და მიცვალებულთა ლოდებს სასოების შუქი მოაფინა.

გარემოს ტკბილად ეძინა...

არც ეტლთა ხმაურობა, არც ადამიანთა სიმღერა თუ მოთქმა, არ არღვევდა სამარისებერ მყუდროებას... სასაფლაოს ყვავილები საამოდ ფშვინავდნენ..

მთვარის შუქზე კარგად გაარჩევდით ექვს მუშას, რომელნიც განწირულებით მიაგორებდნენ ერთ დიდ ქვას, რომელსაც ძველის საძირკვლის მოხაზულებმა უფრო ეტყობოდა...

ახალგაზდა ქალი ხელების კანკალით შეეხო ქვას, მაგრამ წამსვე უკან დიწია და ახლად გათხრილ სამარეს გარინდებით დააქტარდა.

— ჩემს სიყვარულს ქვა უნდა დავადო,— ცრემლოვრევით წარმოსთქვა მან და შედღნეებით ხეს მიეყრდნო.

II

— უჩქარეთ, უჩქარეთ, თქვენი ქირიმე! კვლავ მიმართა ქაღმა მუშებს.

ცოტა ხნის შემდეგ საფლავზე უკვე აღმართული იყო პატარა ძველი, რომლის ერთ პირზე სხვილი ასოებით ჩანდა აღმოკვეთილი:

„არა თუ მე შენთვის,— შენ ჩემთვის!..“

მიღებული მთვარე უფსკრულისაკენ მისცურავდა, ხომლი ცახცახით კრთებოდა და გაფითრებულ სივრცეს მკრთალი ნათელი ეფინებოდა...

— ჩემო ძვირფასო!— გაისმა სასოწარკვეთილი ქეთინის ხმა,— მე შენ უკანასკნელი ყვავილი მოგიტანე, ნიშნად იმ დაღუპულ ნეტარებისა, რომელსაც ჩვენ მივესწრაფოდით; აი, ეს ია, მზემ დააქნო, მაგრამ მე ცრემლებით გავაცოცხლე, რომ შენთვის სურნელი ეკმია. ეს ნარგისი ჩემი მოვლილია, ჩემის სულით აღზრდილი... სულთა სიცოცხლისა! მე შენი სიყვარული მშეს გავაცან, ვარსკვლავებს გაუშხილე... ბუღბუღმა უკვე იცის ის ჰანგი, რომელიც შენ მიმღერე ერთხელ, გაზაფხულის საღამოს... ოჰ, რა ნეტარი საღამო იყო, რანაირ შურით შემოგვცქეროდა შეყვარებული ვარდის მგოსანნი!..

III

შენ ჩემი ბუღბუღი იყავ, ჩემი სიცოცხლისა და სიყვარულის ბუღბუღი!..

ქალს ქეთინმა სძლია...

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა!..

შმაგვით გადიკისკისა მან და ხელები ჰაერს გაუწოდა...

აღმოსავლეთის თეთრ ცაზე ცეცხლის ბურთი ამოვარვარდა, ახავერდებულ ქალა-მთებს ეამბორა და ნამით დართვილული დედამიწა ოქროს ფერად ააციმიკმა.

ტყეში სმენის დამატებობელი ფრინველთა ზევსური გაისმა.

ბუღბუღი-კი თავის საყვარელ ვარდის ბუჩქზე მწუხარედ სტვენდა,— იგლოვდა კოკორს, რომელიც გუშინ ჰაბუკმა მოსწყვიტა და სატრფუს ძღვნად მიუტანა.

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა!..

გაისმა კიდევ სასაფლაოს ბუჩქთა შორის და არე-მარე ღუმელიმა და მწუხარებამ მოიცვა...

სასაფლაოს კარებიდან სირბილით გამოვარდა გაფითრებული ქალი და მისკენ მიმავალ მგზავრს თამამად შესძახა:

— „არა თუ მე შენთვის,— შენ ჩემთვის!..“ მგზავრი გაშეშდა.

ქალი კი შმაგად გარბოდა და მის უნუგეშო მიმკვდარებულ კისკისის ხმას დიდის ცელქი ნიაგი შორს, შორს მიაქროლებდა...

ღარია ახვლედიანისა



# ს ი ნ ა თ ლ ე

(იხ „თეატრი და ცხოვრება“ № 3)

## მოქმედება მეორე

### სურათი II

დაბურული ტყე უცნაურად დაკლანძილი ხეები. ქოხი. ქოხის წინ ორი ბოძი, ერთზე კატა, მეორეზე ყვავი. მიწაზე, ქოხის წინ ცეცხლი, ცეცხლზე ზედადგარი, ზედადგარზე ქვაბი. **ჯადოსანი** რაღაცას ხარზავს. რამდენიმე ქაჯები და ეშმაკები დაბტინ, უცნაურად ცეკავენ. ისმის გულშემოხარვი ხმები: ხრუტუნნი, ენავილი, ხარხარი, ღმუილი და სხვა. აქა-იქ ხანდისხან ალი ამოვარდება. ქოხის ახლოს რაღაც სახიზლარი ქმნილებანი დაბობლავენ, ერთმანეთს, ეცილებიან, ჩხუბობენ. **პირველი, მეორე და მესამე ეშმაკი.**

**პირ. ეშმ.** ბებრუტუნა რაღაც ფაცაფუცუშია... აღბად გემრიელს ლუქმას მოვლის.

**მეორ. ეშმ.** გემრიელს? მე შენ გითხრა შენ მოგართმევენ.

**მეს. ეშმ.** როდემდის უნდა იყოს ასე? მუშაობით სული გეძვრება, შიშვლით კუჭი გვიხმება.

**პირ. ეშმ.** დღე და ღამ დავწნწალვობთ, მოსვენება არა გვაქვს და ჯილდოდ კი გამაოღრლნილ ძვალს თუ გადმოგვივადებენ.

**მეს. ეშმ.** იმღამინდელისა არ იყოს. სოფელში გამგზავნა, ვილაც მოვახსო თურმე კვდებოდა, მაგისი დიდი მეგობარი. ამ მოვახშის სული უნდა მომეტანა. ის იყო სოფელს მიუახლოვდი, ვილაცა ბერს შევეჯახე, პირჯვარი გადაიწვრა და გადმომაფურცხა. ისე დავიკლანქე, ისე დავიკრუნჩხე, — მეგონა იქვე გავთავდებოდი. როგორც იყო სული მოვიბრუნე და შევედი სოფელში. ახლა აქ ვილაც ქალი შემოა მეფთა: დაჰგვიანებოდა, მობობოდა და ხმა მაღლა ლოცვებს გაჰკიოდა. ამირია ამ ლოცვებმა გზა და კვალი, ვეღარც ქუჩა გავარჩიე, ვეღარც მოედანი, მთელი ღამე ვიხეტიალე და გათენებისას ძლივს მივაგენი მოვახშის სახლს, — სულთმობრძავი იყო. შევედი, მივესალმე. „რისთვის მოთარეულ ხარ?“ — „შენი სულისათვის, შენი სულის ქირიმე“ — მეთქი. „სარგებელს რას მაძლევ?“ — „ოქაც კი სარგებელი ავანდებოდა. მაგრამ პასუხი ვეღარ მოვახწერი, ერთი დაიხრტიტინა და სულიც ამოსძვრა... წავავლე ხელი და მოურბენინე ცხელცხელი სული ჩვენს ბა-

ტონ-პატრონს... გაუხარდა, რა გაუხარდა... „საჩუქრის ღირსი ხარო, წადი ამ სულის პატრონის ლეში შენთვის მიჩუქებიაო“.

**მეორ. ეშმ.** კარგი და გემრიელი ლუქმა უფეშქაშნია?..

**მეს. ეშმ.** რას ამბობ, ძმაო! ჯერ სული ისე ჰყარდა, მომქონდა სულ ცხვირს მაცემინებდა და ახლა იმის ლეში რა იქნებოდა... არც კი მიეკარებოდა...

**მეორ. ეშმ.** მეც ეს რამდენი ხანია მეფე ჯიმშერის ოჯახს დარაჯად უდგევარ, მთელი ღამეები დავხეტიალებ... ახლა ძლივს გამანთავისუფლა... დღეს მგონია უნდა მოიყვანოს მეფის შვილი.

**პირ. ეშმ.** ვერ ხედავ ბებრუტუნას, რა ყოფაშია? მაგას მოვლის.

**მეორ. ეშმ.** ჰე, რა გემრიელი იქნება მერე...

**მეს. ეშმ.** მე და შენ კი არა ვაგვხდება რა...

**პირ. ეშმ.** ლაჩრები და უხეიროები ვართ, თორემ...

**მეორ. ეშმ.** თორემ?.. მე ვიცი ყურბზე ხახვს დააკრიდი... ერთი დაგიბღვიროს და მგონია სოროც კი ვერ იპოვნო დასამალავა.

**მეს. ეშმ.** რას გააწყობ ძამიავე?.. ძალა აღმართას ჰხნავსო, ნათქვამია...

**პირ. ეშმ.** ძალა, ძალა... განა ჩვენ კი ძალა არა გვაქვს. აბა პირი შევკრათ და ერთმანეთს მხარი დავუჭიროთ... შენ პირის შეკვრას ეხუმრები თუ?... აბა პირი შევკრათ, ფეხი არსად გავსდვით, ხელი არას მოვკიდოთ... ვნახოთ, გავიტანთ ჩვენსას თუ არა... არ მინდა და არ ვიმუშავებ... თუ მაქმევე, მასმევე... კეთილი! ვიმუშავებ... თუ არა და... ხელსაც არ გავძრავ...

**მეორ. ეშმ.** მართლა, კაცო... ვე კარგი რამ არი.

**მეს. ეშმ.** ჰოდა, მაშ, თუ ამალამ კარგად არ გავვიმასპინძლებიან, ხვალიდან არ, ვიმუშაოთ.

**მეორ. და მეს. ეშმ.** არ ვიმუშაოთ, არ ვიმუშაოთ. (ხტუნახობით და ცეკვით ტყეში მიბიან. ჰარყელი ეშმაკი ჯადოსანს მიუახლოვდება)

**პირ. ეშმ.** ბებო, ა—ა ბებო!.. შიშვლით კუჭი მიხმება... ერთი ლუქმა გადმომივდე...

**ჯადოს.** ემანდედან წაშავდი, თორემ ასეთ



მათრახებს მოგართმევ, რომ ზურგი სულ აგი-  
ლილაო...

**პირ. ეშმ.** მაშ, კი ამბავს არ გეტყვი.  
ისეთი რამ ვიცი, რომ... რომ...

**ჯად.** წამოროშე რაც ენაზე გადგია და  
ლუკმა მერმე ითხოვე...

**პირ. ეშმ.** ბები, იცი... ხა, ხა, ხა... ჩვე-  
ნები პირის შეკვრას აპირებენ... შიმშილით  
ფიხოცებითო... მუშაობით წელს გვწყვეტენო  
და ლუკმას კი არ გვაძლევენო... ხვალისა და  
ვიმუშავებთო.

**ჯად.** რაო?.. დიდხანია რკინის მათრა-  
ხები არ უგემიათ... ეშამფურებს კი ხელად  
დავამზადებ... აჰა, შთანთქე, შე გაუმადარო!  
(გადმოუგდებს ძვალს) ემანდ ჯოჯოხეთის მაღლი  
არ გაგიწყრეს და შენც იმათ არ აპყვე, თორემ  
ხომ იცი... ერთი მოვიდეს ჩემი შვილი... მე  
ვაჩვენებ მაგათ პირის შეკვრას. (შემოდანს მეო-  
რე და შესამე უშმაკა)

**მეორ. და მეს. ეშმ.** მოდის, მოდის...  
მოჰყავს, მოჰყავს!..

**ჯად.** ვინ მოდის?.. (გამოხსნება **დავრიში**,



მსრუბზე ავთანდილი უხის. შიფეჯანს და ჯადო-  
სხნის წინ ჩამოსვამს ავთანდილს) შვილო, ძლივს  
არ დაბრუნდი... მეკი ჩემი დამეპართა, გული  
გადმოიმბრუნდა... ვინ იცის, რა არ'ვიფიქრე...  
(შიფა და ავთანდილს სორტს უშინჯავს) ჰმ!.. მსუ-  
ქანი კია... რბილი ხორცი ექნება... (ავთანდილი  
ხელსა ჰკრავს)

**ავთანდ.** გამეცალე, ბებრუცნავ! (დავრიშს)  
აქ სად მომიყვანე?.. გამიშვი, თორემ მამაჩემი  
თავის ჯარით მოვა და სულ ლუკმა-ლუკმა  
აგკუწავთ...

**პირ. ეშმ.** ჰე—ე, რა ფიცხი რამა ყოფი-  
ლა... მალე მოგარჯულებთ და დაგამშვიდებთ,

(ეელზე თითს ისვამს) ჯერ ხიკ, ხიკ... მერმე  
ცხელ წყალში ჰყუბ,—ჰყუბ... მერმე ტავაში,—  
ში-ში... ისე დაიბროწები, ბელზეულის მაღლმა,  
ლუკმა ას ოქროდ ეღირები...

**დავ.** დანებეთ ზალს თავი... სულ ჰამა-  
ზედ არ გიჭირავთ თვალი... რით ვერ გაძელით?

**ჯად.** უი, ჩემო ძვირფასო, მაგათ გაუმად-  
ლარ კუქს რა გააძლობს... ახლა რა განუძრა-  
ხიათ... შიმშილით გვხოცამენო, მუშაობით წელ-  
სა გვწყვეტენო...ჰა,პირის შეკვრა დაუპირებიათ...

**დავ.** რაო, რაო?.. თქვენც ადამიანებში  
გაერიეთ?.. მომეცი, დედი, მათრახი... (ჯადოსანი  
მიაწვდის)

**დავრ.** (შეორე ეშმაკს) შენ არ იმუშავებ.  
**მეორ. ეშმ.** არა, ბატონო... ფფიცავ ჯო-  
 ჯოხეთს... გიყი ხომ არა ვარ?... რა მაკლია...  
 ან მარტოდ რას უნდა გაგხდე...

**დავრ.** (შესამე ეშმაკს) მაშ, შენ გინდა?

**მეს. ეშმ.** მე არა, ბატონო, მე არა.  
 (უჩვენებს ზიწვ. ეშმაკზე) აი ეს გვებუნტებს...  
 ამან გვიჩიოა, მაგრამ ჩვენ არ დავსთანხმდით...

**დავრ.** (მავარდება ზიწ. ეშმ.) ჰა - ა, მაშ  
 შენ?... (დაჭკრავს მათრახს)

**პირვ. ეშმ.** ვაიმე... მე არა!.. ბები, მე არ  
 შეგატყობინებ... მე არ გითხარი პირის შეყვარას  
 აპირებენ მეთქი?.

**ჯად.** მართალია მაგან შემატყობინა...  
 მაგრამ ერთი მეორეზედ უკეთესია... სამივეს  
 რომ კაი-კაი მიარტყა, არ აწყენთ...

**დავრ.** ბედი თქვენი, რომ არა მცალიან  
 თქვენთვის... მოიტა ჯაჭვი, დედი! (ჯადოსანი  
 ჯაჭვს მაწვდის. მეორე და შესამე ეშმაკს) წაიყვან  
 ეს ბაღი და ემანდ ქოხის გვერდზე დააბით...  
 ვაი თქვენს ტყავს, თუ წაგივიდათ... (ზიწვ. ეშ-  
 მაკს) შენ წადი და შარა გზახედ უღარაჯე. თუ  
 გამოჩნდა ვინმე, მაშინაღვე შემატყობინე...  
 (ზიწვ. ეშმაკი მადის. მეორე და შესამე ეშმ. ავ-  
 თანდიღს წააგლებენ ხელს, ავთანადღი ანა ჭნებდ-  
 ბა. ძალით მიპყვით)

**ავთ.** (ეგარის) გამიშვით, გამიშვით!.. მო-  
 იცა სპასალარი მოვა და სულ შუბით დაგხვრი-  
 ტავთ.

**მეორ. ეშ.** წამოდი, წამოდი... მართლა  
 რა რბილი ხორცი ჰქონია.— (წაიფახნენ და ჯაჭ-  
 ვით სეზე მიაბამენ)

**ჯად.** (დავრის). რაღას ავციანებთ... გამო-  
 სკერი ყელი... წყალი მზათა მაქვს... ვიცი,  
 შეილო, მშვიერი იქნები...

**დავრ.** არა, დედი, ეგ ბაღი სხვა საქმის-  
 თვის მჭირია... გამიჭირეს საქმე ფერიებმა...  
 ხელს ძლიერ მიშლიან... და თუ ასე თუ ისე  
 ფერიები არ მოგსვენ, ცუდათ წავა ჩვენი საქმე-  
 ები. მე იმათ სამფლობელოში ვერ შემესვლე-  
 ბა... დაჭვრით იმათ ვერ დავიჭერ, თუ ოქროს  
 შანდალი, რომელიც ცხრა მთას იქით გამოქვა-  
 ბულშია შენახული, ხელში არ ჩავიგდე... მე  
 იქ ვერ მივედგები და ეგ ბაღი კი მიადწევს  
 და გამოიტანს შანდალს. მაგას ფერიები სწყა-  
 ლობენ და ყველგან შეუშვებენ. ერთი სიტყვით

მაგ ბაღმა ის შანდალი აქ უნდა მომიტანოს  
 და მაშინ ფერიები ჩემს ხელში იქნებიან... აბა,  
 დედი, გექნება რამ ლუკმა, პატარას დაენაყრ-  
 დები და მერმე მაგ ბაღს ვაგამგზავრებ.

**ჯად.** შენი ნებაა, ჩემო კარგო... მე კი  
 მეგონა შესანიშნავ ვახშამს მოუშადებ ჩემს  
 შვილს მეთქი... მიბრძანდი შეგინით... ოტა რა  
 შეგინახე და მიირთვი... (შედას შეგნით)

**მეორ. ეშ.** მაშ, ამაღამაც მშვირები უნ-  
 და ვიყოთ! ჰე - ე, რა სუკები დავკარგეთ?...  
 ბიჭო, მოდი გაუშვით ე ბაღი.. მერე გამო-  
 უდგეთ, შორს ვერსად წავგივა, დავიჭიროთ  
 და ერთხელ მაინც ვავძღვებთ კარგად...

**მეს. ეშმ.** მერე, რა დღეს დაგვაცრიან...  
 მგონია ცხელი შამფურები...

**მეორ. ეშმ.** სულელო, ვეტყვით ფერიამ  
 გაანთავისუფლა თქო... და ფერიასთან ჩვენ რას  
 გავხდებით... ჯერ თავადაც ვერ მოუვლია ფე-  
 რიებისათვის, ეშინიან და ჩვენ რალა შეგვიძლიან.

**მეს. ეშმ.** ეგ კი მართალია... მაგრამ მე-  
 შინიან...

**მეორ. ეშმ.** მართალია და წადი და ახ-  
 სენი... მე მოგფთარები და გიღარაჯებ... რისა  
 გეშინიან?... ხელად ახსნი, მერმე ყვირილი მოვ-  
 რთოთ და დავედვენოთ ბაღლს.

**მეს. ეშმ.** (მიდის ავთანდილთან, უნდა ახსნას)

**მეორ. ეშმ.** (ეგარის) არიქა, მიშველეთ...  
 ბაღი აუშვა!.. მიშველეთ (ქახიდან გამაყარდ-  
 ბანს დაფრის მითრახით და ჯადოსანი გახურებულ  
 შამფურით. დაფრის მიავარდება შესამე ეშმ. და სცემს)

**დავრ.** ჰაი, შე ძაღლო, ეგრე სღარაჯობ?...  
**მეს. ეშმ.** მე არა, შენი ჰირიმე, მაგას

გამბარიყვა, წადი, ჯაჭვი გაამაგრეო და თითონ  
 კი ყვირილი მოართო...

**დავრ.** (მავარდება მეორე ეშმაკს. სცემს)  
 ესეც შენ...

**მეორ. ეშმ.** შენი ჰირიმე, ბატონო, ნუ  
 მომკლავ... ჩემი ბრალი არ არის... მაგას ბაღი  
 უნდა გაეშვა და მე ყვირილი ავტყებე...

**დავრ.** მერე გაგისწორდებით... ახლა თქვენ-  
 თვის არა მცალიან... ახსენით ჯაჭვი (ავთანდილს  
 ანთავისუფლებენ) აბა, ბაღლო, შემეცოდე და  
 შენი მშობლების ხათრიცა მაქვს. წადი, ავრ  
 იმ გზას დაადექი და გავიყვი... თუ შეუხვებ საღ-  
 მე, იცოდე დაიღუპები... ცხრა მთას იქით გა-  
 დახვალ, ერთი გამოქვაბული დაგხვდება. გამო-



ქებაულის ბოლოში ოქროს მაგიდა სდგას, მაგიდაზე ოქროს შანდალი. ის შანდალი აქ მომიტანე და მაშინადვე მშობლებთან დაგაბრუნებ... თუ გზაში მოგშვიდა, აჰა, აი ეს სალამური... დაუკარი და უმაღ საქმელი მოგვრთმევა... მხოლოდ უკან ნუ მოიხედავ და არც არსად შეუხვია... გახსოვდეს: მოიტან შანდალს, — დედამისთან დაგაბრუნებ... გასწი ახლა, დაადექი გზას... (ავთანდილი მაღის)

**ჯად.** ახლა, ემაგრე რომ უშვებ... წავა კი იქ, სადაც საჭიროა... ვინ იცის აუხვიოს გზას, ან შეხედეს ვინმე...

**დავრ.** ფიქრი ნუ გაქვს... ორი დღეა მშობრია... ცოტას ვასცილებდა თუ არა მაშინადვე სალამურს მიატანს ხელს: იგემებს სალამურით მირთმეულს საქმელს და უმაღ დაავიწყდება ყოველიფერი, რაც ახსოვს: სამშობლო, მშობლები და ყოველი, რაც კი აქნობამდისინ მაგის სიცოცხლეში მომხდარა. . გახდება ჩემი მონა-მორჩილი და თაყვანისმცემელი... გადა-

გვარდება სრულიად... აღასრულებს ყოველიფერს ჩემს ნაბრძანებს... მომიტანს შანდალს და ჩემი ნება არ იქნება, დაუბრუნო ბაღლი მშობლებს თუ არა?..

**ჯად.** შენ, ჩემო სიცოცხლე, ყოველისფერი კარგად იცი...

**დავრ.** უკვე გვიანლა. სადაცაა გათენდება... დაუარო ჩენი ღამის ცეკვა და დავიძინოთ... (საზარელი კეთილანამი და სმურობა. ჟადოსანი და დავრამი უნაურად ცეკვავენ. ეშმაკები, ქვემსრამები და სომხიელი ქმნილებანი ამთ აჭეკვებიან. გააჟავს ნეკვას)

**დავრ.** დამე სიბოროტისა!

**ჯად.** ძილი ჯოჯოხეთისა.

**პირ. ეშმ.** სვენება ქვესენლისა.

**მეორ. ეშმ.** სიზმარი ქაჯებისა!

**მეს. ეშმ.** კურთხევა სატანისა!

**ყველანი.** ბელზუელ, ბელზუელ!

(ქარიმსიდა და საზარელი ხმურობა)

*ავთანდილი მაღის*

## ლ უ რ ჯ ი ს უ რ ვ ი ლ ი

რომ უკვდავ მეყო, ლამაზო, მე შენში ჩემი სახელი, მეც ვეახელი ნაცნობ ბაღს, ნაცნობ ბაღს მეც ვეახელი და მსურდა ვარდი მომეცა, უჭკნობი ვარდი ქარვისა, რომ სხვას იმ გვარი ყვაილი არვის ჰქონოდა, არვისა! მინდოდა ჩემი სახელი, სახელი გამოუცნობი, დარჩენილიყო უკვდავად, ვით ქარვის ვარდი უჭკნობი მაგრამ დაიმსხვრა სურვილი, დაიმსხვრა ეს ნეტარება. ჩემს ნაცნობ ბაღსას, ლამაზო, არც ერთი ვარდი არ ება . . გადამხმარიყო ვარდნარი, გადამხმარიყო მის ღერო და ესლა რაღა ვინატრო, და ესლა ვის რაქუმღერო!

*ავთანდილი მაღის*

## წყარო...

წყარო...  
წყარო.— ჩანჩქერი, — პიტალო კლდისა.  
ივია მიწის, ვითა მშობლისა, ძარღვთა ნაეონი, წამონადენი სპეტაკ გულისა.  
იგი წმინდაა, ვითა ქალწულის ნაფრქვევი ცრემლი სიხარულისა.  
მისი სათავე კლდისა პირია...  
იქავე ჰყვავის ბუჩქი ვარდისა, სადაც ბინადრობს ნაზი ბულბული, მოტრფე-მალხენი ყვაილებისა.  
წყარო ანკარა...  
მოღის, მოჰხარის არემარესა...

ნამძს გარს ევლება; ფიქვისა ფესვებს ეთამაშება, ეთაყვანება, იქვე ყვაილთა ეალერსება, ვით მოტრფეს ბაგე, ზე ეკონება, დაენაცვლება...

და სურნელებით შეზავებული, შეკონებული, ვითა გიჟმაყი, ტრფობის ალერსით გაბრუებული, მორბის თამამად დაქანებული, რომ უნებურად ჩაეფხვას ხვეში, ვით მომავალნი მწვრთნელთ კალაპოტში...

წყარო...  
წყარო მღინარედ სღუმს, მოღის ხვედა...  
და დღე მზის სხივებს ატანს თვის ცრემლებს... ხოლო საღამოს ტბაში ინთქება, სადაც მღორდება...  
**ს. გლახაშვილი**

# მ ქ ე დ ე ლ ი

მუდამ ღამით და ყოველ დღე ჩვენს ქალაქში, კომლით საფე, უსინათლო ძველ სარდაფში, მესმის წყნარი, სევდიანი მე სიმღერა: მასში მოსთქვამს დაჩაგრულთა ბედის წერა, უნდა, დუხტირ ცხოვრებისგან განწირული— შრომის ცეცხლით ანაკენესი ხმა გმირული...

მე ყურს ვუვადებ, როგორ რეკავს გრდემლზე კვერი როგორ კვდება მუნ სიცოცხლე მშვენიერი, როგორ ბრუნავს ყოფნის ჩარხი გაქცეული, იწვის ცრემლი, ფოლაღებდა დაქცეული, ტანჯვის შვილთა, — რომელთაც მზე არ უნახავთ და სიცოცხლის მიზნად შრომა დაუსახავთ.

მიყვარს იგი უცნაური, დაფარული ცხოვრების ხმა, რღვევის ხმაში გაპარული, და მქედელი, გამდნარ შანთსა როცა სქედავს, როცა აღში სიცოცხლისა სახეს ხედავს, — შევბა მიპყრობს, მინდა გრძნობით იმას მივყვე, დავიფერფლო, საუკუნოდ შიგ დავიწვექ!

ამ დროს იგი, კვერისა და გრდემლის ხმაზე, თვის საყვარელ სიმღერასა მღერის ასე: — სიცოცხლეო, ირუხზუზე, კვლავ ილავე ყოფნის თასი, წმინდა ოფლის ნაკადულით, რომ შევხედო შენს სამკაულს სიყვარულით, დავეწაფო ათრთოლებულ ცეცხლის აღებს და შევერთო აზვირთებულ ძალთა-ძაღებს!

ირუხზუზე! — აუქაროს გულმა ძვერა, გამოვიღანდეს დაფარული ბედის წერა, რომ დაირღვეს არსებობის სახე ძველი, რომ გაირკვეს სიცოცხლისა განსაცდელი, ცის სახელით, მიწის ბნელით დაფარული, და შეიგნოს დაჩაგრულმა სიყვარული!

ვინაც კენესის, იმან იცის ყოფნის ვალი! აწმყოსაგან მსხვერპლსა ითხოვს მომავალი: და როდესაც სამსხვერპლოზე იგი დნება, როცა ოფლსა ცხარე ცრემლი ეთვისება, ის ნადველი ბრძოლის ცეცხლად უნდა იქცეს, ძველი ყოფნა ჩაიჭანოს და დაიქცეს!...

სიცოცხლეო, ირუხზუზე მაშ კვლავ ასე, ცრემლი ცრემლთან შეაზავე და აღავსე ყოფნის თასი, წმინდა ოფლის ნაკადულით, რომ შევხედო შენს სამკაულს სიყვარულით, დავეწაფო ცხოვრებისა ცეცხლის წყაროს, შევუერთდე იმ ქვეყანას, იმ სამყაროს, სადაც მეფობს და ბატონობს შრომის შვილი, ს: დ სიცოცხლეს ქედს მოუბრის თვით სიკვდილი!

მე ყურს ვუვადებ უცნაურსა ამ სიმღერას, გრძნობით ვისმენ დაჩაგრულთა ბედის წერას, და მქედელი გამდნარ შანთსა როცა სქედავს, როცა აღში სიცოცხლისა სახეს ხედავს — ვმღერი! — სრულქმნა სიცოცხლის რომ ვიხილო... — დაჰკა, დაჰკა გრდემლსა კვერი, შრომის შვილი!

*ბ. ჩხიკვაძე*

## სიმაგაბიური ბანზრანზა

საქართველოს დედა-ქალაქმა თბილისმა თავის საყვარელ მსახიობს ვოტე ეიფიანს 45 წლის სასტუმრო მადეაქობის თბილი უკვე გადაუხდა. კ. ეიფიანი შინაური და გარეგანი ტკაიფებით დაავადებულ, ბნელით მოცულ საქართველოს ქორაზონტზე სხვა ორიადე უფლებს აურიდ ერის გულშემატკივრებთან ერთად 45 წლის წინად ზირუელად მოვიანთე შექურ ვარსკვლავად გამბრწყინდა და ცხოვრების დეკლად სამშობლო კულტურის სამსახური დაიხას. მან ერთხელ არჩეული გზა, — გზა ნარკვლით მოცული, ეჭვგარედა განჯლო ბოლომდე. პირადი ბედნიერი ცხოვრება ეიფიანსა ერის სამსხვერპლოზე დასწვა. ნახევარი სუკუნის განმავლობაში იგი თავდაუზოგველად ემსახურა ქართულ სცენას,

ქართულ საქმეს. ამ ხნის განმავლობაში მან სცენიდან კეთილის და ბორტის მხილებით ზედმიწევნით ამსხვიდა ქართველი ხალხის გონება და ის მტკიცე თვითგამორკვევის გზაზე შეაყენა. რომელ ქართველს არ მოხვებდრა გულში და თავისი ერის ინტერესების დაცვას წადილი არ აღდურავს მტერთაგან საწამებლად გამზადებულ ვოტე ეიფიანის სიტყვებს („სამშობლო“ — ლეონიძის რედაქცია): „ლევან, სამშობლო, სამშობლო არ დავავიწყებდეს“. დაიდა! ვოტეს მთელი 45 წლის განმავლობაში ექვეტრინის სიძლიერით გამოქონდა სცენიდან ჩვენში ერის მსახურების სიყვარული. კრამც თავისი მოამავე ვოტეს დეაქლი დასაფას. ვის არ ახსოვს ის საერთო აღფრთოვანება, რომელიც გამო-



ჩინა ქართველმა ხალხმა თბილისში ეთიოპიის იუბილეზე! მარა მადლიერი ხალხი ჩვენი, როგორც სარწმუნო წყარობიდან გავიგეთ, თბილისის თუბილეს არ ემართოს და თავისი დირსეული შვილის ამავის მეტ დანაწილდებულად უკვე თადარიგს შესდგომა საქართველოს თითქმის უკვდავ თვალსაჩინო დაბა-ქალაქში და განუზღვრავთ მომავალ დამდეგ ზაფხულში მოიწვიან, გაუმართონ სიღვასწარულო ზეიმი და ადგილობრივ დასოლებით გაცნონ თვისი ერის საყვარელ მოღვაწეს. განძახვს ფრიად სიმპატური და მოსაწიანა.

ილია ბახტაძე



# ქართველ მწერალთა წიკილეი

(მოკლებანი)

II



იოსებ დავითაშვილის ზატარა ლექსმა „გლეხის ბიჭის ვედრება“ და წერილმა თვალწინ ცხოვლად წამომიქნა მუდამ დაკუმწეპული, დაღვრემილი სსხე მუჰა-ბოტის, შრომისა და ვაებაში ნაშობმა თვისი ხანმოკლე სიტონსლე კანვლო და დღის სული შრომის და ვაებაშივე, სული უკვდავი, შარავანდელი მოსილი თვისი მშობელი ერისკან. ნეტავი მეს! თვისი ვალი ზონთლად მოისდა სემშობლოს წინაშე, მიაცვალა ამ სიოელით და მანინ გვიანთვის სმარადისო ქვეუნიდან სვალს გზას.

ჩვენ, ქართველებმა, გლოვა და ტირილი დიდის ზარ-ზეიმი თ ვინო, სიტონსლეში მიავიქებული კვეყანს ზემადლით ცხებულნი, რომელინი სიმ-

შილ-სიტონსლეში ლევენ სიტონსლე, კვლეობას უკიდრეს სიღარიბეში; მხოლოდ სიკვდილი გავასსენებს სოღმე, რომ დავკარგეთ დიდებული დაბიანი, მკრამ დღეს ჩვენი ხალხი გთვითონობიერდა, შვიგნო სიუვარული და ზატავისტრემ თვისი მოწინავე შვილების, გამოიხინა დიდი გულშემოტკივრობა და თვისი ღარიბი ჯიბე აღარა შურს დასნეულებულ და სიღარიბეში მეთე მთღვწეთა დასასნეულად, თვისი გულიდან ამოღებულ მარკალიტებს ჩვენი ერი დღეს უფთხიხადება, ეთავანება.

სხვა დროში მოჭევა იოსებ დავითაშვილი, მან ზგრე რიგად არა ფასდებოდა მოღვწე და ავი სიღარიბემ და გატირებამ იმსხვერპლა ჩვენი ერთადერთი სსხლხო მგოსანი.

დიად, დიდს გასატარს განინდიდა მგოსანი დავითაშვილი.. იგი ბუნებითაც ვადმოთეი ეო, გატირებამ სელი შუეწეო ვადმოთეობას და უდროვოდ დასსნეულა. შეხედულობით თითქო ბრკე ვუკაცის წამთადგენდა, მკრამ სნეულდობისკან გატეხილი ჭქონდა ჯანდონე. ხელაბით იოსები მეჩუქერთმე ეო, სუტნოვა ამომტრელი ხეზე ეველა ხიარი სსხეების და ქართულის ასოების. ემაწვილო ბილამე გავნო ქართულს შქერლობას და დღე-ღამეს სტენდა ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვითა. გორში ჭეჟვდა კათხივლი და, თბილისიდან გორს გადმოსსხლდა თხმობიან წლების დამღეს, მკრამ ზატარა ქალაქი რა სქემს გაუჩენდა მის სუტნოვა ხელაბას. თხმობიან წლების დასწიისში გორში მოუვარეთა სამუდამო წრე დაარსდა ქართულ წარმოდგენების მართვისათვის. ნ. დასამიქემ თავის სსხლში სემიფო ქუჩაზე დიდი დარაზი გააკეთა, მოვწეეთ აქ სტენა, რომლისთვისაც დეკორაციები შევიძინეთ თბილისში ქართულ თეატრისკან. ნიკო დასამიქემ მუქიად დავითიმ სსხლი. აი ამ სტენის ეურის სავდებლად წრემ დაბინა იოსებ დავითაშვილი; მტრე ჯაზიკორი ექლეოდა, აქეთ-იქიდან შექობასაც ვადლედიო და ცხოვრობდა, როგორც ეო. იმისი მოვალეობა ეო, დეკორაციების დადგმა, ხანდისხან მძიმე სქემეც შეხვლებოდა სოღმე, მკრამ მიაშველებდნენ სოღმე სხვა მუშებს. დაღვრემილი იოსები ცოტა გამტონსლად, კასხლისა ხალხმა სქემეს. მისი ჩემი ბუნება ნელა-ნელა ახმურდა, მან ენა ამიიდვა და გვიზიარებდა თვისი გულის ხადების, თვისის დარღებს, ჭირს და ვარამს. სწუროდა სწავლა, თავგადამკვდარი ეო მისს შესსენდა. სულ იმის

არქივული

ფიქრში იყო, როდის მოეფიხებოდა საქართველოს არე-მარეს სხსაღბო სკოლები და შევიდოდა გლეხობაში სხივი განათლებისა, ნატრობდა გლეხის შვილებისთვის „ფართო გზას“ სწავლისთვის. ეს იმისი სანეტრო სურვილი გამოხატულა ბუენს მისი ლექსში, სხვათა შორის, ჰაქა ლექსში „გლეხის ბიჭის ვედრება“-ში, რომელიც მე აღმოაჩინა მისი საკუთარის სჯელი ნაწერი, და რომელიც აქ მომავს:

„შრომის შვილი ვარ პატარა,  
სკოლაში დავიარები,  
სწავლის და ცოდნის ჭირიმი  
მას მე არ ვაფეპარები,  
ქურდობას, აფაზაკობას  
ახლოს არ მივეპარები,  
მომძევა გაჭირვებულსა  
ძმურათა მოგვხმარები,  
სწავლის გზა ფართო მომიცით,  
არ დამიკეტოთ კარები,  
გლეხი ვარ, მაგრამ კაცი ვარ,  
მეც ქვეყნად დავიარები“.

მგოსანი დაჯთაშვილი თვისი ნაწერებს ნიშნებს არ უსვამდა, აქ ნიშნებს ჩვენ ვუსვამთ. სწავლა თვისით ქქონდა შექსნელი შეგირდობის დროს სახელისნაში, მაგრამ ბუენის კითხვით, შრომით ენა გაიფრჯოდა, ლექსთ-წიობა ლიტერატურული შეიძინა, რასაც გვიმოტკიცებს მისი ნაწერები.

რაც შეიძლება ხელს ვუმართავდით, სკაითხა წიგნები საკმაოდ ქქონდა, მთელი დღეები იჯდა ჩემსსა და კითხულობდა. ძალიერ ესამუს, რომ ერთხელ ევროპიულად მოვართეთ, მივეცი ჩემი შავი სურთუკი, სხვა ჩასანმელიც, მალე შეეჩვია ამ ტანისმისს. ძალიან მოყრძაღბული და მორცხვი ბუნებისა იყო, თუ რაჟნაში შეეჩუელი არ იყო, ხმას ვერ ამოაღებინებდით, ზურის ჰმას ვერ გაბედავდა თავისუფლად, რაჯინდ მიშერი ეოთილიყო, თვისი ნაკლებულბასს და საჭირბასს ვერ გაბედავდა ზირდაზირ. ამას ადასტურებს მისი ჩემთან მონაწერი წერილი:

„ძვირფასო ძმაო და მეგობარო სოფრომ! (წერილს ნიშნებს მე ვუსვამ ადგილად წასაკითხავად) ვგონებ კარგა იცი, რომ აგერ შვილი-რვა თვე სდებდა, უსაქმურად ვარ, ასე რომ გროში კაპიტი არსაილამ ამილია იმის გარდა, რაც შენ არ მიბეცი საში მანეთი სცენის გამართვისა და მანეთიც რამქისა, საში მანეთიც ბაქრაძის ცოლმა მამცა მეტელის გაახლებდაში. აი ეს იყო ჩემი ფული ამ ხნის განმავლობაში.

უნდა ამ წერილთანვე გაცნობოთ, რომ მე

გორში ისეთი ნათესავი არავინა მყავს, რომ შემიძლია ხელის გამართვა; ერთი ქვრივი და მყავს, ისიც კარგია, რომ ამ ხნის განმავლობაში ჰურს მაქმებს ნაცულად იმისა, რომ მე ვშველიდ, როგორც უპატრონო დას, რომლის საცხოვრებელს შეადგენს ერთად ერთი ევნახი, რომელიც წელიწადში მხოლოდ შვიდ-რვა თუმანს აძლევს და სახლში-კი, ოცისა თუ ოცდაათნი წლის ქალი უბის გასათხოვარი. ვიცი, რომ შენ არ შეგიძლიან რამდენიმე მანეთით ხელის გამართვა და არც შეგაწუხებ უბრალოდ, მხოლოდ, თუ არ შესწუხდებით და შეიძლება სიტყვითაც არის დამეხმარეთ და ნაკო დიასამიძეს მითხოვეთ ერთი თუმანი ან თუნებ ნაკლები, რომელსაც მიიღებს ჩემი ჯამგირილამ შემდეგ თვეებში სახვადლოები-საგან, თუ აქ დავრი, და თუნდაც წავიდე სადმე, ვეცდები, რომ გადაუხადა. სახეშიშო ხარჯი მაქვს გადასახალი ქალაქში, თორე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არ შეგაწუხებდით—სხვა გაჭირებისა გამო და იმდერ მაქვს, დამეხმარებით თქვენ ნიკოსთან სიტყვით და ნიკო ფულით და დამიხსნით ამ აუცილებელი საჭიროებლიდამ, პარასკევს უნდა წავიდე ქალაქს და ამის გამო პასუხს ველი შენგან.

შენი მწერლობისა და მეგობრობის პატივის მცემელი იოსებ დავითაშვილი“.  
1884 წ. ნოემბრის 28.

ამ წერილიდამ ცხადად ხსანს ნაწერი მგოსნის გაჭირვებული ვოფა-ცხოვრება. ნიკო დიასამიძემ უსაუკუდურა, რად ხარ, იოსებ, აჯგე ჩემი, უთქმელი შენის გაჭირვებისაო. მისცა ერთი თუმანი სახელმწიფო ხარჯისთვის; გზის ფული აქეთ-იქით ვუშოვეთ და გაცნატურეთ ქალაქს... ამის შემდეგ უფრო გათამაშდა და აღარ უმაყავდა ნიკო დიასამიძეს თავისი შეეწირვისა. ისიც უნდა გუფხვად ესმარებოდა. თბილისდამ მალე დაბრუნდა, კვითხრა, გადაუსწვიტე თელავში წასვლა და იქ დაბინავებაო. მართლაც მალე წავიდა, სადაც კარდაიგვლა 1887 წლის მარტში (მგონი 15—16). ამ დროს გორის ვაჯხაღბე ცხოვრობდა ახალკახდა ქვედმოქმედი ალექსანდრე თოიძე, „სხნდრუა ბიჭად“ წოდებული; იგი ბუფეთის განაკვება, თოიძე ძალიან ესმარებოდა მგოსნს, თათქმის სულ ერთად განურეულად იუყენ. წიგნებსაც ერთად კითხულობდენ.

დებუქამ რომ სამწუხარო ამავი მოგვიტანს, თოიძე მუშინე დაფურდა ზანაშვილის გადასხდელად, მომწერა:

„რასაკვირველია, წაიკითხავდით დევემას თელავიდან იოსებ დავითაშვილის გადაცალბებაზე.



მდიდრულად და მსატრეული გემოვნებით იყო მორთული. სამს ოთხში გამართული იყო ლოტარია სხვადასხვა ნივთების: ვერცხლეულ-აქროფლობის, სათამაშო ნივთების, ჭურჭლეულობის და სხვა. ოთხეებს ამშვენებდა ვარდები და სხვა უყავილები. სღამოს დასასხდისები უოგველივე ღონისძიებებს ხმარობდენ, რომ სღამო სხელეოანე უოფედიოე და მათი ხელისშეწებით, ლოტარებით, უყავილებით და ბუფეტით მშვენებრად ვაჭრობდენ.

ზირეული განუოფილება წარმოადგენდა სწარსულ ბაზარს. აქ ევეკას ხელობის კაცი იყო არეული: ჩაის გამეიდველი, დაღაქი, მარხიელი ქალები, ხარაზი, მეშწავა, ტანსაცმელის და ფართეულობის ვაჭარი, შუთარე, მუშები, ქურდიც და ევეკას ამათი მოქმედების ერთი შეორეში არეუ-დარეუით ნამდიელი სწარსული ბაზარი წარმოგიდგებოდათ თეაღწინ. ეს განუოფილება მოაწეეს ბაქოს სწარსული დრამატოული სექციის დახმარებით და მშვენებრადღე იქნა ასრელებული. შეორე განუოფილებაში გამართული იყო რუსული სიმღერები და არჩევიტნიკეზ. მოხდენილმა ტეკევი სოიანხადა სიამოვნების მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, თუმიც სიმღერაკი ვერ იყო საქები. მუსიკე განუოფილება წარმოადგენდა სიმეობას ცხოვრებას: „ჯან გუღეში“ და სხ. ეს ნაწილიც კარგად დაათავეს. მშვენებური გრძობითა და ხმით იმღერა ბ-ნმა ტ. ნახლანდინმა სომეხური სიმღერები. შეოთხე განუოფილება იყო ქ. შ. წ. კ. საზოგადოების დრამატოული სექციის დახმარებით. წარმოადგენეს „სუკეესიო დეობა სოფლად“. მოხდენილი ტეკევი, დაფა-ზურნით, ღხინით და სიმღერით მოქმედებამ მშვენებრად ჩაიარა. დასასრულ ან ოთხმა სხვადასხვა ჯგუფმა, თეათავის ორთხულ ტანისამოსში, მოხდენილი ტეკევა-თამაშით და სიმღერით გაიარა წარმოადგენის დარბაზში და შეორე ოთხით აუდენს სენეაზე.

სღამომ სერთოდ მოხდენილად ჩაიარა. ხაღხი სკამოდ დაესწრო, უმეტესად აქური არისტოკრატია. დამსწრეთა შორის თათრები და ქართველები ძლიერ მდნეო იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ქართულმა დრამატოულმა სექციამ დამსწრე საზოგადოება განსხვავებითი მეტად საიამოვნა. კარგი იქნება ასეთი სღამო აქურმს ქართველებმაც მოაწეონ.

...დორე

### წვირილი აბაზი

➔ **ქართ. სცენის მოღვაწეთა ყრილობისათვის** მოხსენებთ ამაღლებენ:

1) **იოხებ აღ. ბარათაშვილი**, სახელგანთქმული ევეილი და თბ. დრ. სახ-ის წვერი, — „ქართული თეატრის ისტოია“.

2) **არჩილ ნიკ. ავალიშვილი**, დრ. სახ. გამ-ის წვერი-ხაზინდარი, —) „ბენეფისი და იუბილე“, ბ) „საპენსიო კასა“,

3) **მიხ. ფილ. ქორელი (ქორიძე)**, დრამ. და-სის მსახიობ-რევისორი, —) „მოძრავი თეატრი საქართველოში“, ბ) „ქართველი მსახიობის სპეციალური სწავლა-განათლება“, გ) „სასურველი და საქირო ანსამბლი“.

➔ **ვლ. სარ. ალექსი-მეხინიშვილი** გასულ კვირას სიხუმს გაემგზავრა ქართულ-რუსულ წარმოდგენების გასამართავად.

➔ **ნაძალადევის თეატრის წვერთა** წლიური კრება მოხდა 23 მარტ ბ. აღ. ქობულაშვილის თე. მჯღღომარეობით. გამეგობამ კრებას გააცნო წარსულ წელთა ნამოქმედარი და საერთო ხარჯთაღრიცხვა. კრების დასასრულ აირჩიეს სარევიზიო კომისია ანგარიშე. ბის ხელახლად განსახიზველად და დღისათვის წარმო-საღვენდა. კრების გაგრძელება დანიშნულია დღეს 11 ს.

➔ **არჩილ ჯორჯაძის** გარდაცვალებიდან წლისთვის შესრულების გამო გასულ კვირას დიდების ტაძარში გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი მწერლის სულის მოსახსენებლად. ხალხი ბლომად დღესწრო.

➔ **გ. ფირეშინამა** თვისი სახუმარო სცენები და კუპლეტები (ათი ქართული და რვა სომხური) დავილევის გრამოფონის ფირფიტებს ჩაამღერა.

➔ **დ. ზუგდიდში წ. კ. ხ. განუოფილების** კრება შესდგა 15 მარტ. კრებზე ერთხმად გადასწყდა 1 ექენისთვიან გაიხსნა პირველ დაწყებითი სკოლა, რომელსაცა თანდათან უფრო კლასები მოემეტება.

➔ **ახალი ორიგინალური პიესა „გაჰორეგებლი ალვაკატი“** დაუწერია მთე იანქოშვილს. პიესაში რვა მომქმედი პირია — ევერი, მოსამსახურე, მხარეული, სახლის პატრონი-სომეხი, .. ოფიცერი, .. სამსახურს გარეშე მყოფი მოხელე-ლოთი, გლაზა, სტუდენტი, — რომელთაც ასრულებს მხოლოდ ერთი პირი. ამ სხედასხევა მღგომარეობა — ხსიათის პირთა აღსრულების დროს მსახიობი უკრავს ფანდურზე, გიტარაზე, პიანინოზე და შესაფერადე დაამღერის. პიესაში ხუმრეტი გამოსვლაა, მსახიობმა ყოველთვის უნდა შეიცვალოს გრომი და ტანისამოსი უკანასკნელ გამოსვლაში ორის როლი ერთსა და იმავე დროს ასრულებს. ქართულს ენაზე ასეთი პიესა, რამედნადღე ციცოთ, ჯერ არ დაწერილა და არცა წარმოდგენიათ.

➔ **მგზონანი ი. ევლოშვილი** 25 მარტს თბილისს ჩამოვიდა ავადმყოფობისაგან მომჯობინებული.